ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №598657

ნომერი: AR1114626

თარიღი : 07.03.2013

გაცემის თარიღი : 20.03.2013

გაცნობის თარიღი : 22.03.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ილია ჭავჭავაძე , N 60 , (ნაკვეთი 03/025) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- სალომე გოგიჩაიშვილი პ/ნ 01008026100
- ჭავჭავაძის #75

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- III კლასი
- ახალი მშენებლობა
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: დიმიტრი შაფაქიძე
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს. "არქიტექტურის ლაბორატორია#3"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204503661

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის

24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

წარმოდგენილი ესკიზით არ არის დაცული „ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ (დამტკიცებული ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის N 4-13 გადაწყვეტილებით),21-ე მუხლით გათვალისწინებული მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებზე დაშენების განხორციელების პირობა: მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებზე, სახურავის მთელ პერიმეტრზე, დამუშავებული პროექტის ფარგლებში, ნებადართულია მსუბუქი, თვითმზიდი კონსტრუქციებით ნაშენი საცხოვრებლის/სადგომის (მათ შორის, სხვენის არსებობის პირობებში მანსარდის) დაშენება. გამოდინარე აქედან სამსახური უარყოფით შეფასებას აძლევს წარმოდგენილ ესკიზს და არ მიაჩნია შესაძლებლად ობიექტის სამშენებლო განვითარება წარმოდგენილი სახით.

ესკიზის გაადმუშავების და ხელახლა განხილვაზე გადმოგზავნის შემთხვევაში, საჭიროა გაითვალისწინოთ „ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ 21-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები, მათ შორის ისიც, რომ სამუშაოების განხორციელება დაუშვებელია ისეთ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებზე, რომელთა სართულების სიმაღლე იატაკიდან ჭერამდე 2.7 მ-ზე ნაკლებია, არ გააჩნიათ ლიფტი და რომელთა ექსპლუატაციის ვადა განსაზღვრულია მაქსიმუმ 50 წლამდე. აქვე გაცნობებთ, რომ როგორც ირკვევა საკადასტრო კოდი არასწორად გაქვთ მითითებული და საჭიროა შეასწოროთ, რათა ზუსტად მოხდეს ობიექტი ლოკაცია რუკაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ მოხდება წინასწარ გასათვალისწინებელი პირობების (ფუნქციური თუ შეზღუდვის ზონების) სრულყოფილად განსაზღვრა.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.